სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 16

2012 წლის 11

ქ. თბილისი

2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელთა შემადგენლობების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ფიზიკაში:

ა.ა) ლიდერი - ვლადიმერ პავერმანი (ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი);

ა.ბ) თანალიდერი - კახაბერ თავზარაშვილი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი);

ა.გ) ასისტენტი - მარიამ რუსიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის, ფიზიკის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი; აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის №42-ე საჯარო სკოლის ფიზიკის საოლიმპიადო წრის ხელმძღვანელი);

ბ) მათემატიკაში:

ბ.ა) ლიდერი - გიორგი ჭელიძე (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი);

ბ.ბ) თანალიდერი - გივი ნადიბაიძე (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი);

გ) ინფორმატიკაში:

გ.ა) ლიდერი - გიორგი მანდარია (შავი ზღვის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი);

გ.ბ) თანალიდერი - ზაზა გამეზარდაშვილი (თავისუფალი უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი);

გ.გ) ასისტენტი - ვახტანგ შეკიშვილი (ა.რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ინფორმატიკის საოლიმპიადო წრეების ხელმძღვანელი);

დ) ბიოლოგიაში:

დ.ა) ლიდერი - ეკატერინე ბაკურაძე (ბიოლოგიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი);

დ.ბ) თანალიდერი - ირინა მოდებაძე (ბიოლოგიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი);

დ.გ) ასისტენტი - ნანა ბარნაველი (დოქტორანტი, ბიომრავალფეროვნების მიმართულების ლაბორანტი, საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი);

2. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

გენერალური დირექტორი